პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

28 სექტემბერი
ოთხშაბათი
1864. მიტინგი ლონდონში, რომელზედაც საფუძველი ჩაეყარა მუშათა საერთაშორისო საზოგადოებას (1 ინტერნაციონალს).

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ შეკავშირებული განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 171 ოთხშაბათი, 28 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 28 სექტემბერი. 1921 წ. № 171

დღიური

— რუმინეთის მთავრობა კვლავ უარყოფს რუსეთ-რუმინეთის შორის გამწვავებულ ურთიერთობას და რუსეთზე განზრახულ თავდასხმის შესახებ გავრცელებულ ხმებს.

— 26 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა წითელი არმიის გრანდიოზული აღლუმი. არმიის სულიერი განწყობილება მტკიცეა; იგი მზად არის მუშურ გლეხური ქვეყანა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას.

ყვითლები შავების სამსახურში

II.

„საქართველოს რესპუბლიკის სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში ჩვენი ხალხი არ გაცნობია შიმშილის და ეპიდემიის საშინელებათ"—დინჯათ ამბობენ ჟორდანია-ჩხეიძე თავის მოწოდებაში. მხოლოდ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დაწყებულა, თურმე შიმშილობაც, ტიფი, ხოლერა და შავი ჭირიც კი.

ნამუსიც კაი საქონელია, მაგრამ არა ყოფილ მთავრობის წევრთათვის, რომლებსაც „ჩვენი ხალხი" დაკარგვიათ და ევროპის ბურჟუაზიის სატახტო ქალაქებში დაეძებენ მის ხელახლა დასაპყრობ ძალებს. საქართველოს მშრომელთ ჯოჯოხეთურ დაცინვით ეჩვენებათ ასეთი უტიფარი განცხადება უტიფარ მეჩხრეებისა. თავის კუჭითაც რომ არ განეცადათ მათ მენშევიკების რეჟიმის „სიამოვნე", განა ისედაც ძნელი მისახვედრია მათთვის, რომ ქვეყანა, რომელსაც არასოდეს არ ყოფნის თავისი საკუთარი ხორბალი, სადაც არ არის განვითარებული მრეწველობა, ქვეყანა, რომელიც მუდამ მეზობელ სახელმწიფოების შემყურე იყო, შიმშილის კლანჭებში მოექცეოდა აუცილებლად გამანადგურებელი იმპერიალისტური ომის ზეგავლენით და იმ დაუსრულებელი აყალ მაყალის და ჩხუბის წყალობით, რაიც მენშევიკებმა გააჩაღეს თავიანთ ბატონობის დროს?

განა ამერიკის დამხმარე კომიტეტი, რომელიც დამშეულთ ეხმარება, ჩვენი მოწვეულია საქართველოში?

განა მენშევიკების დროს არ დაიწყო მოქმედება იტალიის სამკურნალომ?

განა მენშევიკების ბატონობის ხანაში არ მძვინვარებდა და პირდაპირ მუსრს ავლებდა საქართველოს ქალაქებს და სოფლებს შავი სახადი, „ისპანკა", ხოლერა? შავი ჭირი განა მენშევიკების სტუმარი არ იყო გასულ წელს? დღეს კი არავის გაუგონია საქართველოში ამ საშინელი სენის არსებობა.

თუ ყველა მოარული ავადმყოფობა და ეპიდემია არსებულ რეჟიმს მიეწერება, მენშევიკური რეჟიმი უნდა ჩაითვალოს განგრენით მოდებულ და დაჩირქებულ რეჟიმათ. და ეს მაშინ, როცა მენშევიკურ მთავრობის ხელში დარჩა ის აურიცხველი, ოქროზე უძვირფასესი, ქონება, რომელიც რუსეთის ჯარის საწყობებში იყო მოგროვებული და იმ დროს, როდესაც ქვეყნის საწარმოვო ძალები ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ განადგურებული.

„დემოკრატიამ" სულ ორიოდე წლის განმავლობაში შეჭამა ყოველივე, ცოტაოდენი დენიკინ-ვრანგელებს უთავაზა, ცოტა დაშნაკ-მუსავატელებსაც, ხოლო წარმოებას, საწარმოო ძალების ალორძინებას—არაფერი. რაც გადარჩა, ნოეს კიდობნები დატვირთეს და სტამბოლისაკენ წაიღეს, არ დაივიწყეს გელათის მონასტრის ოქროულობა და თამარ მეფის ქუშებიც კი.

და დღეს გამომდგარან ჟორდანია-ჩხეიძეები და ბრიანების კალთის ქვეშ თავშეფარებულნი, პირიქით გვიყეფენ, ბოლშევიკებმა შეჭამეს და რუსეთში გაიტანეს ყველაფერიო.

„მოკლე დროის განმავლობაში გამოილია საარსებოდ აუცილებელი ქვეყნის მარაგი. მისი ნაწილი მოხმარებულ იქნა საბჭოთა ჯარების და მათი ურიცხვი მოხელეების საჭიროებათათვის, მეორე ნაწილი რუსეთში იქნა გაზიდული სამხედრო ნადავლის სახით",—ასე ბრძანებენ ჟორდანია-ჩხეიძეები.

გაძარცულ და გაშიშვლებულ საქართველოში თუ რა დღეოვეს მენშევიკებმა, მათმა პოლიციელ-ჟანდარმების ხროვამ, ჩვენზე უკეთ თითონ იციან. იციან ისიც, რომ რუსეთის წითელ ჯარს ერთი მარცვალი ხორბალი არ შეუძენია აქ, პირიქით მან თავის გამოსაკვები სურსათი თანვე ჩამოიტანა და ამას გარდა პირველ დღეებშივე 150 ათასი ფუთი ფქვილი გადასცა საქართველოს სასურსათო ორგანოებს და შემდეგშიაც განაგრძობდა სურსათით დახმარებას. და თუ მენშევიკების მიერ გაფქვნილ საქართველოში არ დატრიალდა შიმშილობის ჯოჯოხეთი, სწორედ და მარტო რუსეთის და მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების დახმარების წყალობით.

ჟორდანია-ჩხეიძის უმეგობრო ჭორის გასაფანტავად, ვითომ რუსეთში გადაზიდოთ რამე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პურთან და ნავთთან ერთად საქართველოში მოდიოდა და დღესაც მოდის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ფართალი სწორედ იმ რუსეთიდან, რომელიც მენშევიკების უკვე გატყავებული ფიცით ერთ დიდ სასაფლაოს წარმოადგენს. ამ დღეებში მოვიდა და სასურსათო კომისარიატის საწყობებში გადმოტვირთულია 400 ათასი არშინი მანუფაქტურა. გადაწყვეტილია აგრეთვე მუშებისათვის რამდენიმე ათასი სპეციალური ტანსაცმლის გამოგზავნა. მენშევიკების ნამუსიანობა გაცნობილი გვაქვთ, უნდა მოველოდეთ მათგან განმარტებას: ეს ყოველივე იმის ნაწილია, რაც საქართველოდან გაიზიდა და ახლა უკან აბრუნებენო. კიდევ კარგი, რომ ჟორდანია-ჩხეიძე არ ახსენებენ თბილისის ტრამვაის ვაგონებს, რომლებიც თავიანთი პატიოსანი თვალებით დაინახეს აქ მყოფ მენშევიკებმა პლატფორმებზე დატვირთული და რუსეთისკენ მიმავალი. მაგრამ ისიც კი, რაც განცხადებულია მათ მოწოდებაში, საკმარისია მათ შუბლზე სამარცხვინო დაღის დასასმელად, თუ კი მოიძებნება ამ შუბლზე კიდევ თავისუფალი ადგილი.

კიდევ პარტიის განწმენდისთვის

ყველა სამაზრო და რაიონული კომისიები პარტიის გასაწმენდათ უკვე გაგზავნილია ყოველგან და შეუდგენ მუშაობას. მთელი ჩვენი პარტია დღეს ფიქრობს და ლაპარაკობს უმთავრესათ ამ გაწმენდაზე. რუსეთის კომმუნისტურ პრესაში ბევრი იყო ამის შესახებ დაწერილი. ჩვენში ეს საკითხი, ჯერჯერობით მაინც, უფრო ნაკლებ ყურადღებას იწვევს. ამას წინეთ გაზ. „კომმუნისტში" (№ 166) მოთავსებულ წერილში მე შევეცადე რამდენიმეთ გამეშუქებია ეს საკითხი. მე საჭიროთ მიმაჩნია კიდევ შევეხო მას, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის. ჩვენ ვაწმენდთ პარტიას უვარგის, უსინდისო, არა პატიოსან ელემენტებისაგან. ჩვენ გვინდა, რომ პროლეტარიატის პარტია შესდგებოდეს პატიოსან, სინდისიერ მებრძოლთაგან, რომლებიც მზათ არიან შესწირონ თავის სიცოცხლე მუშათა კლასის განთავისუფლებას. ჩვენ არ გვინდა, რომ კომუნისტურ პარტიაში იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც მენშევიკების დროს მენშევიკებთან მუშაობდენ, იმათ უმაგრებდენ ზურგს, და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი „გაბოლშევიკდნენ". ჩვენ ვერ დავტოვებთ დღეს პარტიაში იმათ, ვინც ჩვენი გაჭირვების დროს ჩვენ გვტოვებდენ, ჩვენგან გარბოდენ და თავისი პირადი ინტერესებისთვის ჩვენ მტრებთან მიდიოდენ და მათთან თანამშრომლობდენ. ამ გაწმენდის შემდეგ პარტიაში ვერ უნდა დარჩნენ ისინი, ვინც სანამ მენშევიკები ჩვენს წინააღმდეგ რეპრესიებს და დევნას დაიწყებდენ, ჩვენთან ითვლებოდენ, და შემდეგ კი როცა ეს დევნა დაიწყო ჩვენ ჩამოგვშორდენ და შემოგვეკედლენ მხოლოდ მაშინ, როცა კომუნისტურ პარტიაში ყოფნა მათთვის სასარგებლო შეიქნა. აშკარაა, ასეთი პირები ჩვენთვის საშიშიც არიან, იმათზე ჩვენ ვერ დავეყრდნობით და ისინი პარტიაში ვერ დარჩებიან.

ასეთია მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი პარტიის გაწმენდის საქმეში, და იმ ამხანაგებმა, რომელთაც დაკისრებული აქვთ ეს საქმე, ეს პრინციპი კარგათ უნდა შეითვისონ.

პირველ წერილშიაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს გაწმენდა არაა პარტიის პიროვნული შემადგენლობის უბრალო გადასინჯვა და შემოწმება იმ მხრით, აქვს თუ არა პარტიის ამა თუ იმ წევრს შესწავლილი და შეთვისებული მარქსიზმის თეორია, კომუნიზმი და სხვ. შეიძლება ვინმე კარგი თეორეტიკოსი იყოს, შეიძლება მას გაზეპირებულიც ჰქონდეს მარქსის მოძღვრება, მაგრამ ამავე დროს იგი შესაძლებელია თავისი მოქმედებით უარყოფდეს მარქსის თეორიას და ღალატობდეს კომუნისტურ პარტიას. შეიძლება თუ არა ასეთი პირი პარტიის წევრი იყოს? აშკარაა, რომ არა. მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ისეთი პირი, მუშა ან გლეხი, რომელიც კარგათ ვერ იცნობს ჯერ კიდევ მარქსს, ვერ აქვს შეთვისებული კომუნისტური მოძღვრება სავსებით, მაგრამ რომელიც ნამდვილი რევოლიუციონერია, რომელიც საჭიროების დროს თავს გასწირავს მუშათა კლასის დასაცავად, რომელიც საქმით, მოქმედებით მუშათა საქმეს და სოციალიზმს ემსახურება. ასეთი პირი, თავისთავად იგულისხმება, პარტიისთვის მეტათ ძვირფასია. რამდენათაც მეტი იქნება პარტიაში ასეთი პირები მით უფრო მეტათ მიმზიდველი და მით უფრო ძლიერი გახდება ჩვენი პარტია.

პარტიის წევრების შესამოწმებლათ იმათი სინდისიერების და ერთგულობის დასადგენლათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორ მომენტს: ერთი მხრით იმათ სამსახურს პარტიის არა ლეგალური არსებობის დროს და მეორე მხრით იმათ როლს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენში. ეს ორი მომენტი უნდა იქნეს შემოწმებული სავსებით. აქ საჭიროა ცოცხალი [illegible] დამოწმება. არა ლეგალური მუშაობის შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით. ახლა უნდა ვთქვათ ლეგალური მუშაობის შესახებ. ამის გაგება და შემოწმება თითქოს ძნელი არ უნდა იყოს მაგრამ ეს ასე არაა. არის ათასგვარი ურთიერთობა, დამოკიდებულება, კავშირი, ნათესაობა, მეგობრობა-ნაცნობობა,—ყოველივე ეს ისეა გადამალულ გადახლართული ერთი მეორეზე, რომ ამა თუ იმ პირის მოქმედებას, მის საქციელს ფარავს; მეორე მხრით, შიში ადგილის დაკარგვისა არ აძლევს ზოგიერთებს სიმართლის თქმას, ყოველივე ეს მეტად სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია და ამ ფაქტებს შესამოწმებელმა კომისიებმა შესაფერი ანგარიში უნდა გაუწიონ, გამოყენება ბოროტად თავის მდგომარეობისა, სხვადასხვა გვარი ბოროტმოქმედება, რასაც ხშირათ ფარავენ, მიუკერძოებლობა, ხალხის აბუჩათ აგდება, ლოთობა, გარყვნილობა, — ყველაფერი ეს სინათლეზე უნდა იქნას გამოტანილი. მაგრამ აქ საჭიროა საბუთი, საჭიროა წერილობითი დამოწმება ან საჭიროა კრებაზე განცხადება. ჩუმ ჩუმათ ლაპარაკს და ჩურჩულს ბოლო უნდა მოეღოს. ეს არის ლაჩრობა, და ამას ადგილი არ უნდა დარჩეს. ჩვენ უნდა მოვთხოვოთ, რომ ვინც ჩუმ ჩუმათ ლაპარაკობს სხვის დანაშაულზე ან ბოროტმოქმედებაზე, ეს მან საჯაროთ ან წერილობით განაცხადოს; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თითონ იქნება სასამართლოში მიცემული და პარტიიდან გაძევებული ან როგორც ცილისმწამებელი, ან როგორც ლაჩარი და მშიშარა. ეს ხუთი-ექვსი თვის პრაქტიკა და გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაქვს დიდ მასალას გვაძლევს პარტიის წევრების მოქმედების დასახასიათებლათ და ეს მასალა ჩვენ უნდა გამოვიყენოთ. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ჩვენ წინა წერილში გამოტოვებული დაგვრჩა,—ესაა ზოგიერთი ამხანაგების ნაციონალიზმისაკენ გადახრა, და არა თუ გადახრა, არამედ პირდაპირ ნაციონალისტური სულისკვეთებით გაჟღენთა. მაგრამ აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს: ეს ორპიროვანი სამართებელია: შესაძლებელია, რომ ის, ვინც სხვას ნაციონალიზმს აბრალებს, თითონაც ნაციონალიზმით იყოს გაჟღენთილი. მეორე მხრით არის ისეთი შემთხვევა, როცა ნაციონალიზმს, შოვინიზმს ხედავენ იქ, სადაც ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ნაციონალიზმი არის იქ, როცა ერთი ერის წარმომადგენელს განზრახ უპირატესობას აძლევენ მეორე ერის წარმომადგენლის პირისპირ, როცა აღვიძებენ მტრობას და შუღლს ორ ან რამდენიმე ერის წარმომადგენელთა შორის. კიდევ ვიმეორებ: ამ საკითხის გადაჭრის დროს მეტი სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ თუ კი აღმოჩნდება ეს სენი, იქ ჩვენ ულმობელი უნდა ვიყვეთ, არავითარ დაზოგვას ან შებრალებას ადგილი არ უნდა დაურჩეს.

ამნაირათ, ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ კომისიებს აქვთ დღეს საკმარისათ მდიდარი მასალა; საჭიროა მხოლოდ ამ მასალის გამოყენება. თავისთავათ იგულისხმება, რომ უცდომელი და უნაკლულო არავინ არის, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. ვთქვათ, როცა ადამიანმა ჩაიდინა რაიმე შეცდომა შეუგნებლათ, და შემდეგ ცდილობს ასეთი შეცდომების თავიდან აცილებას, ეს სულ სხვა საქმეა; მაგრამ როცა ამ შეცდომებს შეგნებულათ და სისტემატიურათ ჩადის, ეს უკვე შეცდომა აღარ არის, ესაა დანაშაული, რაზედაც მან პასუხი უნდა აგოს. თავისთავათ იგულისხმება, პარტია ვერ დასჯის თავის წევრს შეცდომის გულისთვის, თუ ეს შეცდომა გასწორებულია მისი შემდეგი მოღვაწეობით. მაგრამ პარტია ვერ დაიტოვებს თავის წრეში დამნაშავეთ და ბოროტმოქმედთ, მით უმეტეს ვერ დაიტოვებს ის თავის წრეში ლაჩრებს და მოღალატეებს.

თუ ჩვენ შევძლებთ ამის შესრულებას, თუ ჩვენ შევძლებთ პარტიის გაწმენდას ისე, როგორც რიგია, ჩვენ მეტათ ნაყოფიერ შედეგს მივაღწევთ. საინტერესოა როგორ უყურებს ამ გაწმენდას ამხ. ლენინი. იგი ამბობს: „გაწმენდა გამოიღებს დიდ ნაყოფს. ის შექმნის ჩვენ პარტიის მუშათა კლასისას უფრო ძლიერ ავანგარდათ, ვინემ წინეთ; შექმნის მას მოწინავე რაზმათ, რომელიც უფრო და უფრო მჭიდროთ იქნება შეკავშირებული, რომელიც უფრო წაიყვანს მას გამარჯვებისაკენ კიდევ უფრო ძნელი და გართულებულ პირობებშიო".

მაგრამ ასეთ შედეგს მივაღწევთ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ პარტიას მართლა გავასუფთავებთ, მართლა გავწმენდთ.

აი რა ამოცანის წინაშე დგას დღეს ჩვენი პარტია პრაქტიკულათ. ყოველი ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, რომ ეს ამოცანა ღირსეულათ გადავჭრათ.

ფ. მახარაძე.

კომინტერნის მესამე კონგრესი

5 ივლისის სხდომა

სხდომა იხსნება ამხ. კოლაროვის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღეს ამხ. კლარა ცეტკინს შეუსრულდა 65 წლისთავი დაბადების დღიდან. (ძლიერი ტაში). მისასალმებელი სიტყვა ეძლევა ამხ. ჰეკერტს (გ. გ. კ. პ.).

ჰეკერტი. ამხანაგებო, ჩვენი ძველი თანამებრძოლი ამხ. კლარა ცეტკინი დღეს სდღესასწაულობს მე-65 წელს თავის დაბადების დღიდან. ინტერნაციონალისათვის კლარა ცეტკინი არის პროგრამა. ის ყმაწვილობიდან მხურვალე ახალგაზრდული გულით მიეხრო მუშათა მოძრაობას და დღემდის დარჩა იმის ერთგულ თავდადებულ მებრძოლად. კლარა ცეტკინს აქვს განსაკუთრებით მდიდარი ბრძოლით აღბეჭდილი წარსული. შეურაცხყოფილი და დევნილი ბურჟუაზიის მიერ, და აგრეთვე იმათ მიერ, ვისთანაც რამდენიმე წლის განმავლობაში ის მიდიოდა ერთი გზით, ჩვენი ძველი ამხანაგი, კლარა ცეტკინი, ყოველთვის სოციალისტურ მოძრაობის მოწინავე რიგებში იბრძოდა ძველი პრუსიის, ძველი გერმანიის წინააღმდეგ. სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული კანონის გაუქმების შემდეგ, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაჩნდნენ მემარჯვენე მიმდინარეობანი, კლარა ცეტკინი მიემხრო მემარცხენე ფრთას. იგი იყო ყველაზე მეტად შეურიგებელი მებრძოლი რევიზიონისტურ იდეების წინააღმდეგ. როზა ლიუქსემბურგის და ფრანც მერინგთან ერთად, რევიზიონისტურ მოძრაობის აღმოცენების პირველ დღეებიდანვე, ის მხარს უჭერდა რადიკალურ მიმართულებას ინტერნაციონალში, ის გამოდიოდა ბერნშტეინის იდეების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ის მხარს უჭერდა კარლ კაუცკის, რომელიც მაშინ კიდევ ეკუთვნოდა გერმანიის სოციალ დემოკრატიულ პარტიის მარქსისტულ ფრთას. ის ყოველთვის იყო ამ მებრძოლ პროლეტარიატის მხარეზე. ომის დროს, როგორც ჟურნალ „თანასწორობის" რედაქტორი, იგი გამოდიოდა გერმანელ სოციალ დემოკრატების ურა-პატრიოტიზმისა და სოციალ შოვინიზმის წინააღმდეგ. ომის გათავების შემდეგ, რევოლიუციის ხანაში, კლარა ცეტკინი მიემხრო სპარტაკის კავშირს და ამ კავშირში ის ითვლებოდა ერთ საუკეთესო თავად. ის იყო სპარტაკულ პატარა მოძრაობის მედგარი ბელადი გერმანიაში, ის შეიქმნა ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი, ის იყო იმისი ერთი საუკეთესო ძალთაგანი.

აქ კონგრესზე, აღმოჩნდა ერთგვარი აზრთა სხვაობა. გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და კლარა ცეტკინს შორის. მაგრამ ამ გარემოებამ სრულებით არ მიგვიყვანა პირად უსიამოვნებამდის, არც შეიძლებოდა მომხდარიყო ეს, ვინაიდან მეტად პატივს ვცემთ ჩვენ ძველ მებრძოლს. ჩვენ ვიცით, რა მისცა მან ჩვენს მოძრაობას, ჩვენ ვიცით, რომ იმ თავითვე ის იყო ჩვენი და ჩვენთან, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ის სამუდამოთ დარჩება პროლეტარიატთან. და ჩვენ იმედი გვაქვს, არა, ჩვენ არა მარტო იმედი გვაქვს, ჩვენ გარკვეულად ვიცით, რომ ის ხელახლად ჩვენთან იქნება. ჩვენ ვიცით, რომ ის გაუგებრობანი, რომელთაც ჩვენ შორის ადგილი ჰქონდათ, კონგრესის დასრულების შემდეგ გაქრებიან, და მე ვფიქრობ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი კიდევ დიდ ხანს იხილავს კლარა ცეტკინს, ჩვენს მედგარ მებრძოლს, დიდი პროლეტარულ არმიის წითელ გენერალს, მუშათა მოძრაობის მარცხენა ფრთაში. (ძლიერი ტაში, რომელიც სწყდება მხოლოდ კლარა ცეტკინის ტრიბუნაზე გამოსვლის შემდეგ)

სიტყვა ეძლევა იუბილიარს ამხ. ცეტკინს.

მთელი დარბაზი ფეხზე სდგება და უმართავს მას ხანგრძლივ ოვაციას.

სიტყვას ამბობს ამხ. ცეტკინი, რომელსაც აღელვების გამო ხმა ადგილ-ადგილ უწყდება.

ცეტკინი. ამხანაგებო, თქვენი შექება მე ძალიან მართმევს. ამასთან მე განვიცდი მძიმე გრძნობას, მე ვფიქრობ, რომ მე ვერ შევქმენი განსახორციელებია ის, რის გაკეთებასაც ვცდილობდი. ბევრი მომცა მე ცხოვრებამ და რევოლიუციის იდეამ, მაგრამ მე სამაგიეროს ვერ გადავუხადე მათ.

ამხანაგებო, რაც მე გავაკეთე, უმეტესი, არის მცირე ნაწილი იმისა, რაც უნდა გაკეთებულიყო: მე ყოველთვის ვემორჩილებოდი ჩემი ბუნების ხმას და ამისათვის არავითარი ხოტბა არ მეკუთვნის მე. შეუძლებელი იყო მე ვყოფილიყავი სხვა, ვიდრე ვიყავი. განა შექების ღირსია ნაკადი, როცა ის წინ მიმდინარეობს განა შექების ღირსია ფრინველი, როცა ის მღერის? ეს, ხომ, ასე ბუნებრივია. მე ვემსახურებოდი რევოლიუციას იმიტომ, რომ უნდა მემსახურნა შინაგან აუცილებლობის შეგნების გამო. მე ვსთვლი ჩემს მოვალეობად აღვნიშნო, რომ ყველა იმაზე, რის მოცემაც მე შევძელი, დიდი დახმარება გამიწია გერმანულმა თეორიამ, ისტორიის პრაქტიკამ და ჩვენ ფრანგ და ინგლისელ ძმების მაგალითმა. მაგრამ რევოლიუციონურ მორალის მხრივ მე დიდად დავალებული რუსეთის რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას და ბოლშევიკებს და ღრმა [illegible] კავშირმა რუსეთის რევოლიუციასთან ჯერ კიდევ [illegible] წლებიდან.

მე არ შემიძლია, არ მოვიგონო ისინი, ვინც იყო და დარჩება ჩემ არსების ნაწილად,—როზა ლიუქსემბურგი. ყველა ის, რასაც მე ვაკეთებდი და რითაც მე ვცხოვრობდი, იყო როზა ლიუქსემბურგთან საერთო მუშაობის ნაყოფი, და მე არ შემიძლია შევიკავო გრძნობა ტკივილების, რომელსაც მე განვიცდი ჩვენ რიგებში მისი არ ყოფნით.

არის მხოლოდ ერთი სურვილი რომელიც გულის სიღრმიდან მოდის,—ვიმუშაო და ვიბრძოლო იმისათვის, რომ მე სიცოცხლეში ჩასვლამდის შევიძლო ვიხილო გერმანიაში რევოლიუცია და, თუ მოვესწარი, სხვა ქვეყნებშიდაც. (ძლიერი ტაშის ცემა.) ჩემი შრომის, ჩემი ბრძოლის დაგვირგვინებად შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარული რევოლიუცია, მხოლოდ რევოლიუციონურ პროლეტარიატის გამარჯვება. (ძლიერი ტაში).

კომინტერნის კონგრესის პრეზიდიუმის სახელით გამოდის ამხ. ლორიო.

ლორიო. ძვირფასო ამხანაგო ცეტკინ. მე არ შემიძლია სიტყვით ლაპარაკი, მე უბრალოდ ვილაპარაკებ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ გვარად მე გამოვსთქვამ საერთო გრძნობებს. დღეს აქ შეკრებილმა კომუნისტურმა ოჯახმა დიდი პატივით შეაჩერა თავისი მძიმე მუშაობა იმისათვის, რომ ქება შეასხას თქვენს მშვენიერს და კეთილშობილ მოღვაწეობას. გერმანიის დელეგაციამ ამხ. ჰეკერტის სახით ზოგადად დაახასიათა თქვენი სახელოვანი ცხოვრების ეპოქები, მაგრამ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ცეტკინ, მხოლოდ თქვენ ერთმა იცით, რამდენი ტანჯვა, რამდენი შრომა, წმინდა და ღრმა სიხარული, აგრეთვე მწარე ცრემლები იხილეს თქვენი შეუდრეკელი ბრძოლის ორმოცდა სამმა წელმა.

მუშათა კლასის პარტია

განსაკუთრებული მნიშვნელობისა და გადამჭრელი როლი ჩვენი პარტიის, დადასტურებული რევოლიუციის მთელი მსვლელობით, კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს დღევანდელ ხანაში. წმინდა პარტიული ხასიათის პრობლემები დგებიან ჩვენ წინაშე სულ უფრო და უფრო ხშირად. ხოლო ვაწყდებით კი ჩვენ ასეთ მოვლენას: პარტიის ახალგაზრდა წევრებს, რომელთაც შეგნებულათ ესმით პრაქტიკულათ პარტიული ორგანიზაციის მთელი მნიშვნელობა, ხშირათ ყურადღებიდან უსხლტებათ ეს მნიშვნელობა პარტიის სავალი გზის მოხვეულებში, რადგან ასეთ დროს ერთბაშათ თავს იჩენენ ზოგადი კითხვები, რომლების შესახებ ძალიან დიდი ხანია არ გვიმსჯელია, რომლებიც კარგი ხანია გადაწყვეტილი არიან და სწორეთ ასეთი სიძველის გამო დავიწყებას გვაქვს მიცემული. ჩვენ გვსურს პარტიის სწორეთ ეს პრინციპიალური საკითხები დავსვათ ამ წერილში.

I პარტია და კლასი

როდესაც ლაპარაკობენ კლასზე, მასში გულისხმობენ ჯგუფს პირებისას რომლებიც შეერთებული არიან საერთო მდგომარეობით წარმოებაში, ამიტომ, საერთო მდგომარეობით განაწილებაში ამასთანავე, საერთო ინტერესებით (კლასობრივი ინტერესებით). მაგრამ, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ყოველი კლასი წარმოადგენდეს სრულიად ერთგვარ მთელ რამეს, რომლის ყველა ნაწილები ერთმანეთ შორის თანასწორნი არიან, სადაც ივანე ისეთივეა, როგორიც არის ისიდორე. საქმე არა მარტო იმაშია, რომ არ არსებობს თანასწორობა ჭკუითა და ნიჭით, არამედ მუშათა კლასის სხვა და სხვა ნაწილების მდგომარეობაც არ არის ერთნაირი, ეს ხდება: 1) იმიტომ, რომ არ არსებობს სრული ერთგვარობა სამეურნეო ერთეულების 2) იმიტომ, რომ მუშათა კლასი ციდან არ ვარდება მზათ, არამედ წარმოიშობა თანდათანობით გლეხებისაგან, ხელოსნებისაგან, ქალაქის მეშჩანებისაგან და სხ. ე. ი. კაპიტალისტური საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან.

და მართლაც, ხომ ცხადია რომ დიდი, შესანიშნავათ მოწყობილი ფაბრიკის მუშა სხვა არის, ხოლო პატარა სახელოსნოსი—კიდევ სხვა. მიზეზი სხვადასხვაობის ასეთ შემთხვევაში მდგომარეობს ამ დაწესებულებათა სხვადასხვაობაში, ორივე ალაგას მუშათა სხვადასხვა გვარათ დაყენებაში. მეორე მიზეზი იმალება, ასე ვსთქვათ, პროლეტარული სტაჟის ხანგრძლივობა თუ ხანმოკლეობაში. ფაბრიკაში ახლათ შესული გლეხი არ ემგვანება მუშას რომელიც ბავშობიდანვე ამ ფაბრიკაში მუშაობს.

განსხვავება მდგომარეობაში, პოულობს გამოხატულებას შეგნებაშიაც. პროლეტარიატი არ არის ერთგვარი თავის შეგნებით ისევე, როგორც არ არის ის ასეთი თავის მდგომარეობითაც. ის ცოტათ თუ ბევრათ არის ერთგვარი შედარებით სხვა კლასებთან. მაგრამ თუ ჩვენ განვიხილავთ მის სხვა და სხვა ნაწილს, მივიღებთ ზემო მოყვანილ სურათს.

ამნაირათ, თავისი კლასობრივი შეგნების, ე. ი. ხანგრძლივი, საერთო, არა ჯგუფური, არა ცეხური, არა ვიწრო „შკურნიკური", არა პირადი, არამედ თავის საერთო კლასობრივი ინტერესების მიხედვით მუშათა კლასი იყოფა მთელ რიგ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად მსგავსათ ერთიან ჯაჭვისა, რომელიც შესდგება არა ერთნაირი გამძლეობის რგოლებისაგან.

აი სწორეთ, კლასის ეს არა ერთგვარობა არის იმის მიზეზი, რომ საჭიროა პარტია.

მართლაც, წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ მუშათა კლასი ერთგვარია სრულიად და აბსოლიუტურათ ამ შემთხვევაში ის ყოველ ჟამს შესძლებდა მთელი თავისი შემადგენლობით მასიურ მოქმედებას. ყველა მისი მოქმედების სახელმძღვანელო რიგრიგობით შეიძლებოდა ამორჩეული ყოფილიყო პირები თუ ამ პირთა ჯგუფები: ხელმძღვანელობის მუდმივი ორგანიზაცია იქნებოდა ზედმეტი ბარგი, ის აღარ იქნებოდა საჭირო.

ნამდვილათ კი ჩვენს სულ სხვა რამეს ვხედავთ. მუშათა კლასის ბრძოლა აუცილებელი რამ არის. საჭიროა აგრეთვე ხელმძღვანელობა ამ ბრძოლის. საჭიროა ის მით უფრო, რომ მტერი ძლიერია, ცბიერი და ბრძოლა მასთან არის ბრძოლა დაუნდობელი. ვინ უნდა უხელმძღვანელოს ამ შემთხვევაში მთელ კლასს? რომელმა მისმა ნაწილმა უნდა იკისროს ეს ხელმძღვანელობა? ცხადია: ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე უფრო შეგნებულმა, ყველაზე უფრო გამოწრთობილმა და შეკავშირებულმა ნაწილმა.

სწორეთ ასეთი ნაწილი არის პარტია.

პარტია—ეს არ არის კლასი, არამედ ნაწილი კლასის, ხშირათ მისი ძალიან პატარა ნაწილიც. მაგრამ პარტია არის თავი კლასის. აი რატომაა ერთი დიდი სისულელე პარტიისა და კლასის დაპირისპირება. მუშათა კლასის პარტია არის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე უკეთესათ გამოხატავს კლასის ინტერესებს. კლასისა და პარტიის განსხვავება ისევე შეიძლება, როგორც თავისა და მთელი ადამიანის. დაპირისპირება შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია კაცს თავი წააგდებინო მისთვის ხანგრძლივი სიცოცხლის სასურველათ.

რისგან არის დამოკიდებული ასეთ პირობებში ბრძოლის წარმოება გასამარჯვებლათ? ეს არის დამოკიდებული მუშათა კლასის სხვადასხვა ნაწილების სწორი დამოკიდებულებისაგან და პირველყოვლისა პარტიულ და უპარტიო მასების სწორი განწყობილებისაგან. ერთი მხრით საჭიროა ხელმძღვანელობა და გამგეობა; მეორე მხრით—აღზრდა და დარწმუნება—შთაგონება. აღუზრდელათ და დაურწმუნებლათ ხელმძღვანელობაც ძნელია. ერთი მხრით საჭიროა, რომ პარტია იყოს მჭიდროთ შეკავშირებული და ორგანიზაციულათ ცალკე მოწყობილი, როგორც ნაწილი კლასის; მეორე მხრით—ის უნდა დაუკავშირდეს სულ უფრო და უფრო უპარტიო მასებს, შეისვას თავის ორგანიზაციაში მისი უფრო და უფრო დიდი ნაწილი. ამნაირათ, კლასის სულიერი ზრდა ჰპოულობს თავის გამოხატულებას ამ კლასის პარტიის ზრდაში. და, პირიქით, კლასის დაქვეითება, დაცემა მისი, გამოიხატება პარტიის დაცემაში, ან უპარტიოებზე მისი გავლენის შესუსტებაში.

II. პარტია და ბელადები.

ჩვენ დავინახეთ ზევით, რომ არა ერთგვარობა კლასის პოულობს გამოხატულებას იმაში, რომ საჭირო ხდება ამ კლასის პარტია. მაგრამ „მდგომარეობის" კაპიტალისტური პირობები და დაბალი კულტურული დონე, რომელზედაც დგას არა მარტო მუშათა კლასი, არამედ დანარჩენი კლასებიც, ქმნიან ისეთ გარემოებას, როდესაც პროლეტარიატის ავანგარდიც, ე. ი. მისი პარტიაც, არ არის ერთგვარი. ის არის ცოტათ თუ ბევრათ ერთგვარი თუ მას მუშათა კლასის სხვა ნაწილებს შევადარებთ; მაგრამ თუ გავსინჯავთ თვით პარტიის ე. ი. ამ ავანგარდის სხვა და სხვა ნაწილებს ჩვენ ადვილათ ამოვაჩენთ ამ შინაგან არაერთფეროვნებას.

აქაც, ამ შემთხვევაშიაც, ჩვენ სწორეთ იმავენაირათ ვსჯელობთ, როგორც ვმსჯელობთ პარტიის შესახებ.

წინააღმდეგ სინამდვილისა, წარმოვიდგინოთ ჩვენ ერთი შემთხვევა, სახელდობრ, სრული—კლასობრივი შეგნებით, გამოცდილებით მასების მეთაურობის უნარით და სხვა—ერთფეროვნობა პარტიისა. მაშინ, ცხადია, ბელადები აღარ იქნებოდენ საჭირო. „ბელადების" მოვალეობას შეასრულებდა რიგ-რიგობით ყველა და ეს მოხდებოდა საქმის უვნებლათაც.

ხოლო სრული ერთფეროვნება ნამდვილათ თვით ავანგარდშიაც არ არსებობს. და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომელიც საჭიროთ ხდის ცოტათ თუ ბევრათ მტკიცე შეჯგუფებას ხელმძღვანელებისას, რომელთაც ჩვენ „ბელადებს" ვუწოდებთ.

კარგი ბელადები სწორეთ იმიტომ არიან ბელადები, რომ ისინი ყველაზე უკეთესათ გამოხატავენ პარტიის უტყუარ ტენდენციებს. და სწორეთ ისე, როგორც უაზრობა არის პარტიის კლასთან დაპირისპირება, სწორეთ ისეთივე უაზრობაა პარტიის დაპირისპირება ამ პარტიის ბელადებთან.

მიუხედავათ ამისა ჩვენ ასეთ რამეს ჩავდიოდით, როდესაც ვუპირდაპირებდით მუშათა კლასს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ან და შეკავშირებულ მუშათა მასებს—ამათ ბელადებს. მაგრამ ამას ჩავდიოდით და ჩავდივართ იმ მიზნით, რომ დავანგრიოთ სოციალდემოკრატია, მოვსპოთ ბურჟუაზიის გავლენა, რომელიც ტარდება სოციალდემოკრატების ბელადების საშუალებით. ხოლო მეტათ საკვირველი რამ იქნებოდა მტრების ორგანიზაციის დაშლის მეთოდები ჩვენ საკუთარ თავზე გადმოგვეტანა და გაგვევრცელებინა ასეთი საქციელი როგორც რაღაც სიბრძნე, ამაშია სწორეთ უმთავრესი შეცდომა გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის და მემარცხენე ესერ-სინდიკალისტების ჯგუფებისრეთში.

III.

პარტიის დიქტატურა და დიქტატურა კლასის

ჩვენი მოწინააღმდეგეები ხშირათ აყენებენ ხოლმე ბოლშევიკების წინააღმდეგ ასეთ ბრალდებას: რუსეთში არის არა პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ დიქტატურა ბოლშევიკების; დიქტატურა არა კლასის არამედ პარტიის. რუსეთის კონტრრევოლიუცია ყოველ გზაჯვარედინზე იმეორებს ამ „არგუმენტს". იმის შემდეგ, რაც ჩვენ ზევით ვთქვით ცხადია, თუ რამდენათ სულელურია ეს არგუმენტი.

მართლაც და, როგორ შეუძლია კლასს განახორციელოს თავის დიქტატურა ამა თუ იმ პირობებში?

დიქტატურის გატარება ეს ნიშნავს: მარტო, უხელმძღვანელო, იდგე სახელმწიფოებრივი აპარატის ყველა პოსტებზე. მთელი პროლეტარიატი რომ ერთფეროვანი ყოფილიყო ის შეუდგებოდა მართვა გამგეობას უპარტიოთ, მასიურათ, მორიგეობით. მაგრამ, როგორც ვიცით ხეთ, ასეთი ერთფეროვნება არ არსებობს. მაშ რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? ცხადია რომ. მართვა-გამგებლობას ხელი უნდა მოჰკიდოს პირველ ყოვლისა მუშათა კლასის თავმა. მუშათა კლასი განაგებს თავისი თავის საშუალებით. დიქტატურა ამ თავის (პარტიის) არის სწორეთ კლასის დიქტატურა. მუშათა კლასის მტრები სიამოვნებით თანხმდებიან თვით პროლეტარიატის დიქტატურაზედაც; ხოლო... უთავო დიქტატურაზე „საბჭოები უკომუნისტებოთ" „დიქტატურა კლასის და არა დიქტატურა პარტიის" და სხვ.) ძნელი მისახვედრი არ არის კი, რომ უთავოთ დიქტატურა—არ არის დიქტატურა; ის დაიღუპება თავის დაბადებისთანავე. რადგან თუ მოსპობილია მუშათა კლასის თავი, მაშინ მისი ტანიც დაუძლურებულია, ასეთი დიქტატურის მაგალითი იყო: ეს იყო უნგრეთის „მუშათა უპარტიო მთავრობა" (ნამდვილათ კი მენშევიკური), რომელმაც იცოცხლა ოთხ საათის განმავლობაში ჩააბარა ბურჟუაზიას ძალა-უფლება. მუშათა დიქტატურა ვერ განხორციელდება სხვა ნაირათ, ვინემ მუშათა პარტიის დიქტატურით. და ვინც გამოდის პარტიის დიქტატურის წინააღმდეგ, ამით ის გამოდის წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურისა.

იგივე ხდება ჩვენი მოწინააღმდეგეების ბანაკში, ბურჟუაზიის ბანაკში. როდესაც ის ახორციელებს თავის დიქტატურას. მართლაც და როდესაც ბურჟუაზია განაგებს, ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ განაგებს რომელიმე მდიდარი? არა, განაგებს მილიუკოვი ან კლემანსო ან ლლოიდ-ჯორჯი, როდესაც ბურჟუაზია ახორციელებს თავის დიქტატურას, ის ახორციელებს მას თავის პარტიის დიქტატურის საშუალებით. და გასაკვირია: არავინ არასდროს არ ლაპარაკობს, რომ ეს „არ არის დიქტატურა ბურჟუაზიის, არამედ დიქტატურა ლლოიდ ჯორჯის პარტიისა". არავისაც არ წამოსცდება ერთხელაც კი, რომ „კლემანსოს ძალადობას ხმარობს ბურჟუაზიაზე" და ახორციელებს არა ბურჟუაზიის დიქტატურას, არამედ დიქტატურას ბურჟუაზიაზე", რატომ? იმიტომ, რომ ეს აშკარა აბსურდია და უაზრობა ხოლო ეს უაზრობა კი დაუჯინიათ, როდესაც ლაპარაკობენ მენშევიკების პარტიაზე.

მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მტრები ან ისინი, რომლებიც მათ ანკესზე ეგებიან, ანგრევენ ამ დიქტატურას. პროლეტარიატის მტრებისათვის სასარგებლოა ამიტომ წაჰკიდოს პროლეტარიატის ავანგარდი, პარტია, დანარჩენ მუშებს. ასეთი თავისთავათ შემცდარი აზრი, იმ სიძნელეთა ატმოსფერაში, როდესაც მხოლოთ შეუდრეკელი ნაწილი პროლეტარიატის მოთმინებით იტანს გარდამავალი დროის მრავალნაირ ტანჯვას, ასეთ ატმოსფერაში ეს აზრი ხდება პროლეტარული ძალების დაშლის მოხერხებულ იარაღათ. ამით აიხსნება ყვირილი პარტიის დიქტატურის წინააღმდეგ, ლოზუნგები: „საბჭოები უკომუნისტებოთ", „უპარტიო საბჭოები" და სხვ. და სხვ.

სწორედ იმიტომ, რომ პროლეტარული დიქტატურის გამტარებელი ძალა არის კომუნისტური პარტია სწორეთ იმიტომ, რომ ამ პარტიის დიქტატურას გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დიქტატურა პროლეტარიატის—სწორეთ ამიტომ პარტიას ესხმიან ყოველ მხრიდან დაუშინებენ მას მორტირებს.

IV

პროლეტარიატის პარტია და სხვა კლასები.

პროლეტარიატის პარტია, რომლის ხელშია ძალა-უფლება, ყოველ დღე და ყოველ საათში ანგარიშს უნდა უწევდეს კონკრეტიულ გარემოებას. მის ამოცანას შეადგენს პროლეტარიატის ძალაუფლების შენარჩუნება, მისი განმტკიცება; მან უნდა ყოველი საშუალება იხმაროს კომუნისტური მეურნეობის დასამყარებლად.

სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების დასაპყრობათ ბრძოლის მომზადების ხანაში, პროლეტარული პარტიის ამოცანა საერთოთ ძალიან მარტივია: თავი უნდა მოუყაროს მასებს შენი დროშის ქვეშ. ამ მიზანს ემსახურებოდა მარტივი, ნათელი, გარკვეული ლოზუნგები. ბევრათ უფრო რთული საქმეა გასაკეთებელი მას შემდეგ, რაც მასები უკვე შენ მხარეზეა და ჩაბმულია ბრძოლაში. აქ უკვე საჭიროა იცოდე, როგორ უნდა შეუტიო, ან როგორ უნდა დაიხიო უკან და დროზე გამოიყვანო ბრძოლის ცეცხლიდან არმიის უმთავრესი ნაწილი, ხშირათ დანაკლისის მსხვერპლათ მიტანით. კიდევ უფრო რთულდება პროლეტარული პარტიის მდგომარეობა, როდესაც ის უკვე სახელმწიფოს სათავეშია მოქცეული და ძალაუფლება უპყრია ხელთ. ამ შემთხვევაში ის ვალდებულია გაარკვიოს არა მარტო ქვეყნის შინაური ცხოვრების რთული პირობები, არამედ უაღრესათ დაბურდულ საერთაშორისო ურთიერთობასაც. მისთვის დასაშვებია და მისაღები კავშირი ერთი ქვეყნის ბურჟუაზიასთან მეორე ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და სხვ. ეს არის ისევ ახალი გარემოება, რომელიც პრინციპიალურათ განსხვავებულია წარსული ხანისაგან და რომელიც მოითხოვს კიდევ მეტ მოქნილობას, კიდევ მეტ ყურადღებას რევოლიუციონური სტრატეგიისადმი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხშირათ „მკვდარი ეპოტინება ცოცხალს" და ძველათ ხმარებული ტაქტიკა, რომელიც რევოლიუციის განვითარების წარსულ საფეხურებზე იყო გამოსადეგი, ანელებს ახალი სტრატეგიული გეგმებისა და ფართოდ შეგნების საჭიროებას, საჭიროებს ისეთი გეგმებისას, რომელიც უფრო შეეფარდება ახალ პირობებს.

ამის მაგალითი მოგვცეს იმ ამხანაგებმა, რომლებიც ერთ დროს პროტესტს აცხადებდენ იმის წინააღმდეგ, რომ შეკრულიყო ბრესტის ზავი ან და იმის წინააღმდეგ, რომ წაგვეღო ამერიკიდან იარაღი. მუშათა კლასის აშკარა მტრებმა კი მოხერხებულათ ისარგებლეს ბრძოლის შეცვლილი პირობების ასეთი შეუგნებლობით და პროლეტარული სტრატეგიის თვალსაზრისით დაშვებული დათმობა გერმანიის იმპერიალიზმისადმი სცდილობდენ გადაექციათ გამოხატულებათ ვითომდა იმ „ფაქტისა", თითქოს ბოლშევიკები ყოფილიყვნენ ამ იმპერიალიზმის პარტია.

დღეს სოციალ-გამყიდველთა პარტიები დაჟინებით იმეორებენ იმ დებულებას, თითქოს ჩვენი ახალი ეკონომიურმა პოლიტიკამ ჩვენ გადაგვაქცია წვრილ ბურჟუაზიულ პარტიად, კერძოთ, გლეხების პარტიათ. რადგანაც დავუთმეთ წვრილ ბურჟუაზიას, ამით თქვენ შეიქმენით წვრილ ბურჟუაზიულ პარტიათ.

თავდაპირველათ უნდა ვთქვათ ის, რომ ეს აზრი თითქმის ოთხი წლის დაგვიანებით შეიქმნა წამოყენებული. რადგან, ძირითადი ეკონომიური დათმობა ჩვენი მხრით იყო უკვე ის, რომ დავურიგეთ გლეხებს 82 პროცენტი პომეშჩიკების მიწების, დათმობა იყო უკვე კანონი ეგრედ წოდებულ „მიწის სოციალიზაციის შესახებ", რომელიც ჩვენ მთლიანათ ვისესხეთ წვრილ ბურჟუაზიული პარტია ესერებისაგან. ნუ თუ ამით ჩვენ წვრილ ბურჟუაზიული პარტია გავხდით? ვერავინ ვერ გაბედავს სთქვას ეს. შევიქენით თუ არა ჩვენ ბრესტის ზავის დროს გერმანიის იმპერიალისტების პარტია? ცხადია, რომ ამის თქმა შეუძლია მხოლოდ უსინდისო ცილისმწამებელს. რატომ ასე უცებ შევიქენით ჩვენ ახლა ზოგიერთების თვალში წვრილბურჟუაზიულ პარტიათ? რასაკვირველია, სულ მარტივი მიზეზის გამო. ასეთი ცილისწამება არის ერთი ნაწილი იდეიური შემოტევის ჩვენ წინააღმდეგ, არის ისეთივე ომი ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრივ, როგორც ლოზუნგი უპარტიო საბჭოების შესახებ. მუშათა კლასის ციხე-სიმაგრეს, ჩვენ პარტიას, უშენენ ყუმბარებს სხვადასხვა მხრიდან, მათ რიცხვში ამ მხრიდანაც. სხვა არაფერი.

მიუხედავათ ამისა, არის თუ არა მაინც ჩვენი პარტიის წვრილ-ბურჟუაზიულათ გადაქცევის საფრთხე? არის. რატომ? იმიტომ, რომ იქმნება, „წვრილ-ბურჟუაზიულდება" თვით პროლეტარიატი. ასეთი პროცესის მოსასპობათ საჭიროა მძლავრი მრეწველობის აღდგენა, ამიტომაც ვაწარმოვებთ ჩვენ „ეკონომიური პოლიტიკის ახალ კურსს" და იმავე დროს ვაწმენდთ ჩვენ პარტიასაც.

დაუეჭველი შედეგი ამ საქმეში შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი მხოლოდ ჩვენი პარტიის სიმტკიცით. მუშათა კლასი ამ გზით მოქანცულია და დასუსტებული. მან გაიღო მთელი თავისი ძალა ფრონტებისათვის და ვეებერთელა ქვეყნის სახელმწიფოებრივი აპარატის მოსაწყობათ. მაგრამ ის გაიზრდება და გამძლავრდება ჩვენი მსხვილი მრეწველობის ზრდასთან ერთად, და ამავე დროს გაიზრდება მისი პარტიაც, ჩვენი პარტია, პარტია კომუნისტური გადატრიალების.

ნ. ბუხარინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ტრიბუნიდან თქვენ მოგვაგონეთ ულრმეს მღელვარებით, რომელიც ყველამ გაიზიარა, თქვენი ძვირფასი მეგობრები—როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი. დიახ, მხოლოდ თქვენ ერთს შეგიძლიათ გადმოგვცეთ, თუ რას ნიშნავს ეს მოგონებანი და ეს ძვირფასი მიცვალებულნი, რომელნიც თქვენთან ერთად იბრძოდნენ ორმოცდა სამი წლის განმავლობაში შტუტგარტში, კოპენჰაგენში. ეკუთვნით თქვენ საერთაშორისო პროლეტარიატს, და ეს უკანასკნელი აღტაცებული მადლობით შეჰყურებს თქვენს მუშაობას ტრაგიკულ ხანებში; ის ვერ დაივიწყებს, რომ 1915 წელს თქვენ იყავით ბერნის კონგრესის ინიციატორი, რომელზედაც თქვენ უთხარით საერთაშორისო მუშა ქალებს ის, რის თქმა ვერ შესძლო გზადაბნეულმა პროლეტარიატმა.

ჩვენს, ფრანგ კომუნისტების, ხსოვნაში განსაკუთრებით ცოცხლდება თქვენი ტურის კონგრესზე მოსვლა, ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ თქვენ განზრახვა გქონდათ კონგრესის წინადღით მისულიყავით, მაგრამ ჩვენ ვეჭვობდით ამაში, ჩვენ ვიცოდით, რომ საფრანგეთის პოლიცია ძლიერ კარგად გიცნობდათ თქვენ, რომ შემოიშვით საფრანგეთში. მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, რომ დედაკაცი, თუმცა ისეთი ენერგიული, როგორც თქვენ პოლიციას გზას აუბნევდა, და როგორ დიდი იყო ჩვენი სიხარული, და იმავე დროს როგორ განცვიფრებაში მივიდა საფრანგეთის ბურჟუაზია, როდესაც თქვენ გადმოლახეთ საზღვარი და გაჩნდით ჩვენ შორის.

ძვირფასო ამხანაგო ცეტკინ! რევოლუციის საქმე, რომლის საკურთხეველს ბევრი მსხვერპლი შესწირეთ ეხლა საგრძნობლად იწყებს ხორცის შესხმას. რუსეთის რევოლუცია და გერმანიის რევოლუციის განვითარება გვარწმუნებენ იმაში, რომ თქვენ იხილავთ თქვენი მოღვაწეობის დაგვირგვინებას. რევოლუცია მოდის მთელი თავისი სიძლიერით, და თქვენც მოიმკით თქვენი შრომის ნაყოფს, იხილავთ მსოფლიო პროლეტარიატის სრულს და საბოლოო განთავისუფლებას. ეს არის ჩვენი სურვილი. (ოვაციები).

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ლენინს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ტაქტიკის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად.

(შემდეგი იქნება)

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

მოსკოვის გარნიზონის ნაწილთა აღლუმი.

მოსკოვი, 26 სექ. (რადიო). მოსკოვის გარნიზონის გუშინდელი აღლუმი წითელ გენშტაბისტების გამოშვების პატივსაცემად გადაიქცა წითელ დედა ქალაქის სამხედრო სიძლიერის ჭეშმარიტი გამოფენად. შუადღისთვის მთელი წითელი მოედანი გატენილი იყო კურსანტებით, კავალერისტებით და იარაღის ყოველი სახის წითელ არმიელებით. საგრძნობი იყო უდიდესი აღფრთოვანება. წითელ მეომართა სახე თვით დარწმუნებული და იმედიანი. აღლუმს დაესწრონენ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი და კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობა მთელი შემადგენლობით.

ამხ. ტროცკის სიტყვა.

აღლუმზე ამხ. ტროცკიმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„წითელ არმიის დემობილიზაციების პერიოდი დაკავშირებული იყო შრომის ხანის დაწყებასთან. მუშურ-გლეხური ქვეყანა, რომელიც მოწადინებულია მშვიდობიანობას ყველა მეზობელთან, აწარმოებდა ბრძოლას, რათა დაეძლია ვოლგის მხარის შიმშილი და სამეურნეო ნგრევა. მაგრამ, როგორც უკანასკნელ დღეების ცნობებიდან ჩანს, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა რკალს გადაუწყვეტია საბჭოთა რუსეთის ხელი შეუშალოს ამ მშვიდობიან აღმშენებლობაში. უმთავრეს როლს საბჭოთა რუსეთისათვის ახალი ომის თავზე მოხვევის ცდაში თამაშობს ხარბი ფრანგული ბირჟა. ფრანგი მილიტარისტები, პოლონეთის და რუმინეთის სამხედრო პარტიაზე ზედმოქმედების გზით, რუსეთის [illegible] და გლეხებთა ომისათვის ემზადებიან, [illegible] და მუშურ-გლეხურ ქვეყნის დამონების მიზნით. პოლონეთმა ჩვენ ულტიმატუმი წარმოგვიდგინა: ჩვენ ყველასთან მშვიდობიანობა გვსურს, მაგრამ, ჩვენი ნების წინააღმდეგ, ომის საფრთხე ისევ წამოჭრილია. მთელი ქვეყნიერების ბურჟუაზია ხმებს ავრცელებს ჩვენს სისუსტეზე და წითელი არმიის დემობილიზაციაზე. თუ მსოფლიო ბურჟუაზიის აგენტებს, რომელნიც იმყოფებიან ყველა ჩვენს მთავარ ქალაქებში, უნდათ ჩვენი ძალები შეაფასონ, დეე მოვიდნენ ისინი აქ, წითელ მოედანზე და ურიცკის მოედანზე პეტროგრადში, სადაც ერთდროულად ხდება პეტროგრადის გარნიზონის აღლუმი“.

მიმართავს რა წითელ არმიელთა მძლავრ რიგებს, რომელნიც მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან მუშა-გლეხთა საქმე, ამხ. ტროცკი აცხადებს: „თუ ამას პირობები მოითხოვენ, ჩვენ კვლავ მოვიწვევთ დასახმარებლად მშრომელთა ასეულ ათასებს. საბჭოთა დიპლომატებს ჩვენ ვუბრძანებთ: ნუ დაუშვებთ ომს, წადით მშვიდობიანობაზე და დათმობებზე, მაგრამ წითელი არმია მოწინავე სადარაჯოზე სდგას; საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე იდგომებიან მოსკოვის გარნიზონები. გაუმარჯოს წითელ არმიას“.

ამხ. ტროცკის სიტყვა თავდება „ვაშა“-ს ძახილით და ინტერნაციონალის სიმღერით.

ამხ. პიკის სიტყვა.

ამხ. პიკი გერმანიის კომუნისტური პარტიის და კომინტერნის სახელით მიესალმება მოსკოვის გარნიზონს და მისი სახით მთელ წითელ არმიას: „მსოფლიო პროლეტარიატი,—ამბობს ამხ. პიკი, მსოფლიო კაპიტალის საომარ მზადებას უპირდაპირებს საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად თავის დარაზმულ გამოსვლას. გაუმარჯოს ინტერნაციონალურ წითელ არმიას, რომელიც ისწრაფვის რუს მუშების და გლეხების დასახმარებლად“.

პარტიზანულ ომის სამზადისი პოლონეთის ტერიტორიაზე.

მოსკოვი. 24 სექ. (რადიო). ზრუნავს რა პოლონეთთან მოსაზღვრე ადგილების გლეხობის კეთილდღეობის დაცვაზე და საბჭოთა ორგანოებისათვის სასურსათო კამპანიის ჩატარების შესაძლებლობის მიცემაზე, რუსეთის მთავრობას არ შეუძლია გულგრილად უყუროს წვრილ პარტიზანულ ომის სისტემატიურ მზადებას, რომელიც წარმოებს პოლონეთის ტერიტორიაზე პოლონელ სამხედრო ხელისუფლების დახმარებით. რიგის ხელშეკრულობის ძალით რუსეთის მთავრობამ პოლონეთს მიმართა მოთხოვნით სავინკოვის, ბალახოვიჩის, პეტლიურას და სხვა ბანდიტურ ორგანიზაციების მოქმედების ფაქტიური ლიკვიდაციის შესახებ, რომლებმაც პოლონეთში ჰპოვეს თავშესაფარი, და ამ ორგანიზაციების მეთაურების გაძევებაზე პოლონეთიდან. 18 სექტემბრის ნოტაში პოლონეთის მთავრობამ რუსეთის მთავრობის ამ ძირითად მოთხოვნას დუმილით აუარა გვერდი. ამ ნოტაში განცხადება იყო გაკეთებული, პოლონეთის თანხმობაზე ეცნობებია, ბანდიტური შაიკების მიერ რუსეთის საზღვრის გადასვლის წინააღმდეგ მიღებულ ზომების შესახებ და მზად ყოფნაზე შესდგომოდა შემდგომი ზომების განხილვას ამ ელემენტების მიერ საზღვრების გადალახვის წინააღმდეგ. ამგვარად აწიც გრძელდებოდეს იქნება, პოლონეთის ხელისუფლთა თითქმის აშკარა მფარველობით, ბანდიტურ შაიკების შედგენა, სწავლება, შეიარაღება და ფულით მომარაგება. ასეთ პირობებში საზღვრის გადალახვის საწინააღმდეგო ზომები, იგულისხმება, მხოლოდ ილიუზიაა.

პოლონეთის მოთხოვნათა დაუშვებელი ცალმხრივობა

მოსკოვი, 24 სექტემბერი, (რადიო). არღვევს რა აშკარად რიგის ხელშეკრულებას და ძირს უთხრის რა კეთილ მეზობლურ ურთიერთობას, პოლონეთის მთავრობამ თავის მოთხოვნებს ულტიმატუმის ხასიათი მისცა და იმუქრება დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით. ამავე დროს პოლონეთის მთავრობამ უარყო საბჭოთა რუსეთის მთავრობის წინადადება 1 ოქტომბრისათვის ორივე მხარის მიერ იმ მოთხოვნათა შესრულების შესახებ, რომელნიც რიგის ხელშეკრულობის ასრულებას ეხებიან. საბჭოთა მთავრობამ განიხილა რა პოლონეთის მოთხოვნანი, უყურებს მთელ რიგ წინადადებას, რომელნიც რიგის ხელშეკრულობიდან გამომდინარეობენ. პოლონეთის ზოგიერთი მოთხოვნანი რუსეთის მთავრობის მხრით დაბრკოლებას არ ხვდებიან, ხოლო პოლონეთის ნოტის §§ 4 და 5 ში ლტოლვილების შესახებ, სათანადო განკარგულებანი იქნებიან გამოცემულნი. მაგრამ მთელი რიგი პოლონეთის მოთხოვნათა ჩამოყალიბებულია არა ცხადად, ვინაიდან არავითარი აგიტაცია არ წარმოებს იმათ შორის, ვინც პოლონეთის ტერიტორიაზე ბრუნდებიან და რუსეთის მთავრობა სრულებით არ აბრკოლებს იმ პირთ, რომელთაც რეპატრიაციის უფლება აქვთ.

სამშვიდობო ხელშეკრულობის ასრულების დაგვიანება პოლონეთის მთავრობის მიზეზით.

მოსკოვი, 24 სექტემბერი (რადიო). რაც შეეხება პოლონეთის მთავრობისადმი ფულის პირველად შესატან ნაწილის გადახდის დაგვიანებას, საბჭოთა მთავრობა ადასტურებს თავის მზადყოფნას ფულის გადახდაზე, მაშინვე როდესაც პოლონეთის მთავრობა შეასრულებს სამშვიდობო ხელშეკრულობის საბჭოთა რუსეთისადმი მტრულ ორგანიზაციების პოლონეთიდან გაძევებისა და ლიკვიდაციის შესახებ. ამასთან ერთად პოლონეთის მთავრობას არ დაუბრუნებია სამასი კაცის სია, რის გამო მოხდა დაგვიანება რუსეთიდან დაკავებულ პოლონელ მოქალაქეთა გაგზავნაში. პოლონეთის მთავრობა აჭიანურებს ლტოლვილთა მიღებას, რადგან მისაღები პუნქტების მოქმედებას არ აძლიერებს.

საერთაშორისო მტაცებელნი.

მოსკოვი. 24 სექტემბერი (რადიო). პოლონეთის მთავრობის უკანასკნელი ნოტები, რომელიც შედეგია საფრანგეთის ფარულ ზედმოქმედებისა იწვევენ რესპუბლიკის მშრომელ მასსათა შორის უკიდურესს აღშფოთებას. „შრომა“ პ. კ. ც. კ-ის ორგანო, სტატიაში „პოლონეთი, ანტანტა და საბჭოთა რუსეთი“ ხაზს უსვამს საფრანგეთის კაპიტალისაგან პოლონეთის დამოკიდებულებას. „პოლონეთი იარაღია [illegible] იმპერიალიზმის ხელში, განადგურებული, დავალიანებული, ფინანსიური კრიზისით დაუძლურებული,—იგი მთლად ფრანგ ბანკირების ხელში იმყოფება. ხოლო უკანასკნელნი საბჭოთა რუსეთის დახრჩობის გარკვეულ ხაზს აწარმოებენ. ახლა ჩვენი მტრები თავის ანგარიშში ამყარებენ იმ ძნელ მდგომარეობაზე, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკა განიცდის, ვოლგის მხარის შიმშილობის გამო. მაგრამ მათი იმედები გაიფანტება რეალობასთან პირველივე შეჯახების დროსვე, ისევე, როგორც რუსეთის პროლეტარიატის სიმტკიცე და გაძლიერება დაამსხვრევს სამხედრო ავანტიურების ცდას. კვანძი რომელსაც კრავს ანტანტა, გახსნილი იქნება, უნდა იმედი ვიქონიოთ მშვიდობიანი გზით, რომლისაკენ მოუწოდებს პოლონეთს საბჭოთა ხელისუფლებაც და სინამდვილეზე ფხიზელი შეხედულებაც.“ პოლონეთის ულტიმატუმს უძღვნის წერილს „კომუნისტური შრომა“:

„ჩვენი უკანასკნელი ნოტა 22 სექტემბრიდან, პოლონეთისადმი მიმართული, გადაჭრით უარყოფს საკითხის პოლონურ დაყენებას და აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობას არ სურს განიხილოს ერთდროულად ურთიერთი ვალდებულებანი და ჩვენი სამაგიერო მოთხოვნანი. პოლონეთის მთავრობის პასუხი დაგვანახვებს, სურს თუ არა პოლონეთის მთავრობას საკუთარი ხალხის ინტერესებით იხელმძღვანელოს თუ პარიზელ მებირჟეების ინტერესებით, და ანგარიშებით. მებირჟეების, რომელნიც დამოუკიდებელ პოლონეთის რესპუბლიკას თავის ნებისყოფას უკარნახებენ.

ლაპარაკობს რა შექმნილ მდგომარეობის შესახებ ამხ. სტეკლოვი წერილში „ულტიმატუმის გამო“ „უწყებებში“ ჩამოთვლის იმ ზომებს, რომლებსაც პოლონეთის მთავრობა გამალებით იღებს ჩვენს რესპუბლიკაზე თავდასხმის მოსამზადებლად. ესაა რუმინეთთან, მოლაპარაკება ფინეთსა ჩეხო-სლოვაკეთსა და გერმანიასთანაც კი ჩვენ კიდევ ვაცხადებთ, ამბობს ამხ. სტეკლოვი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მშვიდობიანობა სწადია. მაგრამ თუ მას იძულებულს გახდიან, იგი შესძლებს დაამტკიცოს, რომ შეუძლია ომის წარმოებაც. რუსის ხალხმა, ბოლოს, უზრუნველყოს თავისი თავი ყოველგვარ პროვოკაციისაგან, ყოველგვარ ცდისაგან ჩაფუშოს მის მიერ დაწყებული მშვიდობიანი აღმშენებლობა.

ზედმოქმედების შედეგი

მოსკოვი, 24 სექტ. ეხება რა პოლონეთის მიერ რუსეთისადმი წარდგენილ ულტიმატუმს, ინგლისური გაზეთი „დეილი ჰერალდი“ ამბობს, რომ ეს ულტიმატუმი არის პოლონეთზე საფრანგეთის პირდაპირი ზედმოქმედების შედეგი. ფრანგ სპეკულიანტების უეჭველ ინტრიგებს კავშირი აქვთ პოლონეთის უკანასკნელ კაბინეტის დამხობასთან.

პილსუდსკის და პეტლიურას ალიანსი

მოსკოვი 24 სექტემბერი (რადიო) „დეილი ჰერალდი“ იტყობინება, რომ პოლონეთი სდებს მსხვილ შეთანხმებებს ვენაში იარაღის მოსაწოდებლად, პილსუდსკის და პეტლიურას მიერ განზრახულ საერთო შეტევისათვის უკრაინის დასაპყრობად. გარდა ამისა არის საბუთები ვენაში ამუნიციის დიდი მარაგის შესყიდვის შესახებ ე. წ. „უკრაინის სახალხო რესპუბლიკის“ ხარჯზე.

სამხედრო ავანტიურისთვის სამზადისი

მოსკოვი, 24 სექტ (რად.). პოლონური გაზ. „ჩვენი კურიერი“ იტყობინება, რომ დიდი სენსაცია გამოიწვია პოლონეთის სეიმის კულუარებში დეპუტატმა ზამინსკიმ, რომელმაც ცნობა მოიყვანა გერმანიასთან სამხედრო კავშირის არსებულ გეგმის შესახებ. ამ გეგმას თითქო აყენებდა პოლონეთის სამხედრო საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე პილსუდსკი და ამას იმით ასაბუთებდა, რომ ომის შემთხვევაში ლიტვასა ან საბჭოთა რუსეთთან, პოლონეთს ზურგი უზრუნველყოფილი იქნებოდა, გერმანიის მიერ გამოცხადებულ ნეიტრალიტეტის წყალობით. სამხედრო ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა მოხდეს შეთანხმება ზემო სილეზიის საკითხის გამო რისთვისაც შესაძლებელი იქნებოდა გერმანიისაგან 500 მილ. მარკის სესხის აღება პოლონურ მარკის კურსის ასაწევად.

პოლონელების შეიარაღება

მოსკოვი, 24 სექტ. (რადიო). დანციგში მოვიდა სამი ნაღმოსანი, რომელნიც წინად გერმანიას ეკუთვნოდენ, ახლა კი პოლონეთისათვისაა გადაცემული.

სადაა სიცრუე და სადაა სიმართლე?

მოსკოვი. 24 სექტ. (რადიო) პოლონეთში ავსტრიის ამუნიციის გაზიდვის გამოაშკარავებასთან დაკავშირებით, ავსტრიის მთავრობა აცხადებს, რომ ავსტრიას ამაზე ნებართვა არ მიუცია. ამუნიციის არალეგალურ გაზიდვის შესახებ გამოძიება გრძელდება.

საფრანგეთი ემზადება

პეტროგრადი, 15 სექტ. პარიზული გაზ. „ჰუმანიტე“ იტყობინება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო სამზადისზე. 100 ფრანგი ოფიცერი ვარშავაში მუშაობს შეტევის გეგმის შემუშავებაზე. თოფხანა და სამხედრო ქარხნები საომარ მასალას ამზადებენ.

საბჭოთა რუსეთი და რუმინეთი

რუმინეთის მთავრობის განცხადება.

მოსკოვი, 26 სექტემბერი (რადიო) რუმინეთის მთავრობამ ვარშავის ჟურნალ „ჟურნალ დეპოლონ“-ში გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ არავითარ შეხლა-შემოხლას რუმინეთისა და საბჭოთა მთავრობას შორის ადგილი არა აქვს, აგრეთვე არავითარი მზადება იმისათვის არ სწარმოებს. ამას საუკეთესოდ დამტკიცებად ჩათვლება საგარეო ვაჭრობის კომისარიატის 4 დელეგატისათვის რუმინეთში გამგზავრებაზე ნების დართვა, პურეულის შესასყიდად.

სამტრო მზადებანი ბესარაბიაში.

მოსკოვი, 24 სექტემბერი (რადიო). ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ გრძელდება რუმინულ ჯარების თავმოყრა ბესარაბიის საზღვარზე. უახლოეს დღეებში მეფე ფერდინანდი ეწვევა მოსაზღვრე ნაწილებს. რუმინეთის შტაბი იტყობინება ბესარაბიაში შეთქმულობის გამოაშკარავებაზე რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს.

რუმინული გაზეთები გადმოგვცემენ დინამიტების თავდასხმებზე ბესარაბიაში და თხზავენ [illegible] რუმინეთიდან ბესარაბიის განცალკევებისათვის, სამხედრო სამზადისის მიზნით.

უარყოფენ

რიგა, 21 სექტემბერი (რადიო). რუმინეთის მთავრობამ გაუგზავნა რუმინეთის ელჩებს ცირკულიარი, რომელშიაც უარყოფილია ცნობები რუსეთ რუმინეთის გამწვავებულ ურთიერთობის და რუსეთზე განზრახულ თავდასხმის შესახებ.

ქრონიკა

შრომის განყოფილებანი. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ა. წ. აგვისტოს 25 ს არსებულ შრომის განყოფილებათა ჩამოყალიბების და ახალ განყოფილებათა დაარსების შესახებ დაადგინა: პრინციპიალურად მიღებულ იქნას, რომ შრომის დარგში ნაცვლად ეხლანდელ დანაწილებისა რესპუბლიკის ოთხ რაიონად აღმოსავლეთ საქართველო, (რომელსაც თვით შრომის კომისარიატი განაგებს) ქუთაისისა, ფოთისა და ბათომისა), განყოფილებანი დაარსდეს ადმინისტრატიული განაწილების მიხედვით სამაზრო რევკომებთან, როგორც სამაზრო მმართველობის განყოფილებანი (რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება ცენტრს—შრომის სახალხო კომისარიატს), შტატი თვითეულ მაზრისა შეიმუშავდეს ადგილობრივ პირობების და საჭიროების მიხედვით. აგრეთვე მიღებულ იქმნას დაარსება შრომის სარაიონო განყოფილებათა იმ მაზრებში, სადაც წარმოება განვითარებულია და ეს განყოფილებანი დაექვემდებარონ მაზრის შრომის განყოფილებას.

ავტომობილთა რაოდენობა ქალ. ტფილისში. თანახმად ცენტრალური ავტო სექციის ცნობისა, ამ ჟამად ტფილისის სხვადასხვა სახელოსნოსა და დაწესებულებაში იმყოფება 210 სამგზავრო ავტომობილი და 175 საბარგო ავტომობილი. 2, 3, 4 სახელოსნოებში აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს განმავლობაში შეკეთებულ სულ 414 ავტომობილი. ამას გარდა ამ სახელოსნოებს გამოუშვია 13 ჯავშნიანი მანქანა და ორი ცეცხლის მქრობელი ავტომობილი.

◆ **კერძო დეპეშების მიღება.** 26 სექტემბრიდან დაშვებულია დაუბრკოლებელი მიღება ყოველგვარ კერძო დეპეშებისა, შინაური ხასიათით რომელნიც იქნებიან მიმართულნი აზერბეიჯანის, სომხეთის და მთიულეთის რესპუბლიკებში.

◆ **შრომის მთლიანი სკოლა.** ვინაიდან ძველი სკოლის პროგრამით მუშაობა არ იქნებოდა სოციალურ აღზრდის მიზნების შესაფერი სახ. განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმა სამმართველომ შეიმუშავა თვისი ახალი პროგრამა შრომის მთლიან სკოლისა, სკოლის რეორგანიზაციის ტექნიკურად გასატარებლად შედგენილია სპეციალური ინსტიტუტი სახალხო განათლების ინსტრუქტორებისა, სადაც კურსის დამთავრების შემდეგ პირველ ენკენისთვეში გამოშვებულ იქნა 100-დე გამოცდილი ინსტრუქტორი და ხელმძღვანელი როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში სამუშაოთ.

სოციალურ აღზრდის მთავარი სამმართველოს თაოსნობით მოხდა ინსტრუქტორების კონფერენცია, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდნენ გამოცდილი მასწავლებლები.

პროვინციაში

ზემო-ჭალადიდის თემი (სენაკის მაზრა)

მთელს სენაკის მაზრაში ვერ იპოვით კულტურულად ისეთ ჩამორჩენილ თემს, როგორიც არის ზემო ჭალადიდის თემი. აქ თითქმის დღესაც არ არსებობს ერთი წესიერი სკოლა (გარდა სირიაჩქონისა) სადაც ბავშვს შეეძლოს პირველდაწყებითი სწავლა მიიღოს. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თემი, როგორც საერთოდ ჭალადიდი ბუნებრივად მდიდარი თემია მთელს მაზრაში. საჭირო მცირეოდენი შრომა, რომ წლიური სარჩო დაიმზადოს გლეხმა, თვით ბუნებას გაუხდია აქაურნი დაუდევრად, მაგრამ საუბედუროდ დაუდევრობას ადგილი აქვს არამც თუ მარტო მეურნეობაში, არამედ ცხოვრების სხვა დარგშიაც. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას კულტურულ საკითხის შესახებ. ამავე თემში არის ხე-ტყის წარმოება. მთავრობა იძლევა შეკვეთებს სხვადასხვა ხე-ტყის მასალისას და მკვიდრნი ამა სოფლისა ამზადებენ და მიაქვთ მდ. რიონის საშვალებით ქ. ფოთში სადაც ფულს ღებულობენ. ფულის დღევანდელი კურსის მიხედვით აქ თითეული მარტო ხელა მუშა აკეთებს 60.000 მანეთს, ხოლო ურმით 200.000 მანეთს, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ამ ფულს ისინი უშნოდ ფლანგავენ, ან კარტში აგებენ ან ღვინოში ხარჯავენ და კულტურულ საქმისთვის მანეთსაც არ გაიღებენ, ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს საერთოდ არ ეტანებიან (რასაკვირველია გამონაკლისებზე არა გვაქვს საუბარი)' თუმცა სამკითხველო არსებობს, მაგრამ მხოლოდ ნომინალურად, იქ არავინ მიდის გაზეთების საკითხავად. აი ასეთი მდიდარი სოფელში სკოლის დარბაზიც არაა აშენებული. საჭიროა მთავრობის მიერ ჯეროვანი ყურადღების მიქცევა და ამ საშვილიშვილო საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენება.

დ. ჭალადიძე.

გლეხთა დახმარების კვირა

მუშათა და წითელ არმიელთა საზოგადო კრება

სექტემბრის 25 ს, სახელმწიფო საოპერო თეატრში შესდგა მუშათა და წითელ არმიელთა კრება, მოწვეული საქართველოს ცენტრ. კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებისა და კომპარტიის თბ. კომიტეტის მიერ. მოხსენებანი მიძღვნილი იყო გლეხთა დახმარების კვირისადმი. პარტერი და ლოჟები მუშებით და წითელ არმიელებით იყო სავსე.

კრებას ხსნის შრომის სახალხო კომისარი ამხ. დუმბაძე.

ამხ. ორახელაშვილის მოხსენება

შეჩერდა რა რევოლუციონური მოძრაობის მსვლელობაზე უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში რუსეთში და მუშათა კლასის, ვით მთლიანი ერთეულის, გამოსვლის მნიშვნელობაზე, ამხ. მამია ორახელაშვილმა ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელობას, რომელიც ეძლეოდა აგრარულ საკითხის გადაწყვეტას ყოველ რევოლუციონურ პარტიის პროგრამაში.

ეს საკითხი იყო ყოველ რევოლუციონურ პროგრამის ცენტრალური პუნქტი და უნდა გადაწყვეტილიყო ერთის მხრივ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების მიმართულებით და მეორე მხრივ—გლეხობის პირად მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართულებით.

მაგრამ არც ერთი რევოლუციონური აღტყინება, არც ერთი აჯანყება არ მიახლოვდა მიზანს ისე ახლო, როგორც საბჭოთა ხელისუფლება. პარტია, რომელმაც ოქტომბრის გადატრიალება მოახდინა, პირველ რიგში გლეხთა საკითხის გადაჭრას შეუდგა. მომხსენებელს მოჰყავს ისტორიული პარალელი დასავლეთ ევროპასა და რუსეთს შორის, სადაც აგრარულ დამოკიდებულებათა განვითარების პროცესი ფრიად შეფერხდა, რის გამოც ფერხდებოდა უკანასკნელის კაპიტალისტური განვითარება და რის გამოც თვითმპყრობელობა იძულებული გახდა ბატონ-ყმობა გაეუქმებინა.

ასე დაისვა,—ამბობს ამხ. ორახელაშვილი—ისტორიამ საკითხი. მაგრამ ისტორიულ კანონებს ვერ გადაახტები. გლეხობა განთავისუფლდა არა მარტო ბატონის დამოკიდებულებისაგან, არამედ მიწისგანაც.

გლეხობის მდგომარეობა გაუარესდა. ფიქრი სასოფლო მეურნეობის განვითარების, მისი აწევის და მასში ტექნიკური გაუმჯობესობის, მეცნიერების მოხმარების შესახებ და სხვა—შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ხშირად მთელი გლეხური მეურნეობა სწარმოებდა ნაჭერ მიწაზე, რომელსაც გლეხი იმავე მემამულისაგან იღებდა იჯარით. არა მარტო მთელი ზედმეტი ღირებულება, არამედ ხვნელ-მთესველის და მისი ოჯახის საკვები საზრდოც მებატონეს მიჰქონდა. ასეთ პირობებში გლეხს არ შეეძლო მეურნეობის განვითარებას მოჰყოლოდა, გლეხთა მეურნეობა ეცემოდა და ვერავითარი „სრულიად რუსეთის თათბირები“, მოწვეულ მეფურ მთავრობათა მიერ, საქმეს ვერ შველიდა.

ამის შედეგად შეიქმნა რუსის გლეხის მეურნეობის ისეთი მდგომარეობა, რომელსაც მომხსენებელი ახასიათებს, როგორც მეურნეობას ბუშმენის და გოტენტოტის მეურნეობის დონეზე მდგარს, რაც მტკიცდება ციფრებით: მოსავალი, რომელსაც იღებდნენ რუსეთის „შავმიწიდან“, ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე მოსავალი რომელსაც იღებდა გალიციის ქვიშა. თვით დანია, სერბია და ოსმალეთიც რუსეთზე წინ იდგნენ და უკანასკნელი მიდიოდა მხოლოდ საფრანგეთის [illegible] ტუნისთან ერთად. იმპერიალისტურმა ომმა საბოლოოდ დასცა გლეხთა მეურნეობა. მოკლებული 15 მილ. ახალგაზრდა მუშაკს, საგარეო ბაზარს მოწყვეტილი, რომელიც ამარაგებდა მას სასოფლო-სამეურნეო იარაღებით და სხ., შეზღუდული თავის ვიწრო ფარგლებში, მას ბუნებრივად დაიწყო დაცემა. უკვე 1915 წ., მიუხედავად წინა მოსავლისა, სათესი მოედანი ძლიერ შემცირდა.

თებერვლის რევოლუცია დგება. ყოველი რევოლუცია ითხოვს განსაზღვრულ ხარჯს. რევოლუციის დროს ხალხის ეკონომიური ცხოვრების ყველა მხარეები თავქვე მიდიან იმ პირობით, რომ წინ წამოიწიოს ქვეყნის რევოლუციონური ძალები, რათა ეკონომიკამ აიწიოს უმაღლეს ნაბიჯზე.

მაგრამ 1917 წ. რევოლუციის სათავეში მდგომი პარტიები მხოლოდ სწუხდნენ, რომ მთელი მიწა—გლეხობას მიაღწიოს თუ არა ხელისუფლებამ, ესერებმა—ჩერნოვმა და კერენსკიმ, მენშევიკებმა—წერეთელმა და სხვ. დაუწყეს საბოტაჟი გლეხთა კომიტეტების სურვილს, ეს კომიტეტები სატუსაღოებში ჩასხეს, ხოლო გლეხების წინააღმდეგ დამსჯელთა რაზმების გზავნა დაიწყეს. აშკარაა, რომ ასეთი ზომებით გლეხის მეურნეობა ვერ ამოვიდოდა უფსკრულიდან. ჭეშმარიტი აგრარული რევოლუცია შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ხელისუფლების მქონე პროლეტარიატს და როდესაც მან ხელთ იგდო ხელისუფლება აღნიშნულ რევოლუციის დროს გამოქვეყნდა დეკრეტი მიწის შესახებ, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ნაბიჯები გადადგა დეკრეტის გასატარებლად ცხოვრებაში.

მთელი მიწა გადავიდა მშრომელთა ხელში და რუსის სოფელმა მიიშორა ყოველი ტვირთი.

მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარების წინ წასაწევად არა კმარა მარტო მიწის ქონა. თავი იჩინა ინვენტარის ნაკლებულებამ და აგრეთვე ეკონომიურ და სამხედრო ბლოკადის შედეგებმა, რომელსაც განიცდიდა რუსეთი რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ მძიმე პირობებში საბჭოთა ხელისუფლებას დასჭირდა პურის მოგროვება სოფლებში განაწილებით, რადგან იმ დროინდელ გარემოებათა გამო, საჭირო იყო წითელ ლაშქრის შენახვა და მუშების მომარაგება.

განაწილება,—ამბობს ამხ. ორახელაშვილი,—ტვირთად დააწვა გლეხობას, მაგრამ იგი აუცილებელი იყო. ისტორიულად იგი გამართლებულ იქნა უკვე მით, რომ მან შესძლო [illegible] თეთრგვარდიელების განადგურება და გაფანტვა.

რა წამს ცხოვრების პირობებმა ნება მისცეს, საბჭოთა ხელისუფლებამ არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია გლეხის მეურნეობისათვის. სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა შეიცვალა. განაწილება შესცვალა სასურსათო გადასახადმა.

თუ სოფლის მეურნეობას არ გავაძლიერებთ, გლეხთა მდგომარეობას არ გავაუმჯობესებთ, ჩვენ ვერც მსხვილ მრეწველობას აღვადგენთ, რადგან ამ უკანასკნელს რკინისა და ქვანახშირთან ერთად სჭირდება პურიც.

გაუკეთა რა ანალიზი დებულებას, რომლითაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და მოიყვანა რა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღორძინების საფუძვლად შეადგენს გლეხის მეურნეობის გაძლიერება, ამხ. ორახელაშვილმა კრების ყურადღება მიაქცია იმ თითქო „ჯადოსნურ წრეზე“, როგორსაც წარმოადგენს ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთის გლეხის მეურნეობასა და მსხვილ მრეწველობას შორის, რომელსაც ამ ჟამადაც არ შეუძლიან მეურნეობისათვის საჭირო ნაწარმოების დამზადება.

საბჭოთა ხელისუფლებამ,—ამბობს მომხსენებელი,—ამაზე უარესი წრეები გაიარა. ეს იმიტომ, რომ მას აქვს ძვირფასი თვისებები: მას უნარი აქვს—მთელი თავისი ყურადღება, მთელი თავისი სიძლიერე მოახმაროს ერთ რომ პუნქტს და ამით გაადვილოს საქმის შესრულება. ასე იქნება ეხლაც, რადგან ასეთ პუნქტს ეხლა წარმოადგენს გლეხის მეურნეობა.

ყველა საქონლის ფონდების კოოპერაციის ხელში გადაცემასთან ერთად მათ გასაცვლელად გლეხობასთან, საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ეძებს სხვა დამხმარე საშუალებასაც გლეხის მეურნეობის აღსადგენად. გლეხებს უნდა მივაშველოთ იმ კუნთების ძალით, რომელიც აქვთ მუშებს და წითელ ლაშქრულებს.

ამ მიზნითაა გამართული გლეხის დახმარების კვირა.

— გლეხი—წვრილი მესაკუთრეა,— ამბობს მომხსენებელი.

იგი დაჩვეულია თავის ნაჭერ მიწაზე ფუსფუსს. ის სიკეთე, რომელიც თან მოაქვს კოლექტიურ შრომას მისთვის—უცნობია. აი რატომ ეს დახმარების კვირა იქნება კომუნისტურ პროპაგანდის საუკეთესო ფორმა, რადგან იგი საქმით დაამტკიცებს, რომ საერთო შრომას სასწაულების მოხდენა შეუძლიან.

— მჭედელი და ყოველი სხვა ოსტატი, გადასული სოფელში, თუ ეს ხდება საერთოდ, სიყვარულით და თუ ეს გამოწვეულია სურვილით გლეხს მდგომარეობა შეუმსუბუქონ—ეს მოვლენები თანდათანობით მოქმედებენ გლეხზე, ახალ მიმართულებას აძლევენ მას. შემდეგ, ორატორი ეხება წვრილ ბურჟუაზიულ ფსიხიკას, რომელიც განსაკუთრებით ემჩნევა ქართველ გლეხს, მესაკუთრის ფსიხიკას, რომელიც საჭიროა რომ თითქმის სიტყვამ გარდაქმნას. აი რატომ აქ, საქართველოში პროპაგანდის საქმით ორკეცი მნიშვნელობა ეძლევა. კვირის დროს საჭიროა შველა რუს წითელ-ლაშქრულთა, არა როგორც კუნთის ძალა, არამედ როგორც ფაქტორი, რომელიც მოქმედებს გლეხთა ფსიხოლოგიაზედაც.

მენშევიკები რომელნიც უნერგავდნენ ხალხს შოვინიზმს და სთესდნენ ეროვნულ სიძულვილს რამდენიმე წლის განმავლობაში, ყველაფერი მოიმოქმედეს, რომ ქართველი გლეხი რუს წითელ-ლაშქრელში მცარცველს ხედავდეს, ეხლა ქართველმა გლეხმა უკვე იცის, რომ მცარცველი წითელ-ლაშქრელი კი არაა, ისინი არიან, ვინც ახალ კადრობით წავიდნენ კონსტანტინოპოლში და გაცარცვეს თვით [illegible].

— მაგრამ უნდა უჩვენოთ გლეხს, რომ წითელ ლაშქრელი დაახლოვებულია გლეხთან არა მარტო პოლიტიკურად, რომ იგი ეკონომიურ დახმარებასაც აძლევს მას. თქვენი „კვირაში“ მონაწილეობის შედეგები „ამხ. წითელ ლაშქრელებო“, წარმოსთქვამს მომხსენებელი, ლეგენდარული იქნება.

ათავებს რა მოხსენებას, ამხ. ორახელაშვილი ჩერდება პოლონეთის ულტიმატუმზე და ანტანტის გაიძვერა პოლიტიკაზე, რომელიც უხვევს მუშურ-გლეხურ რუსეთს თავის დამქაშებს ყოველთვის, როდესაც იგი აპირებს ომიდან მშვიდობიან სამუშაოზე გადასვლას.

— ჩვენ ვფიქრობთ,—ამბობს ის,—რომ ომის გამოცხადებას ვერ გაბედავენ და პანების პოლონეთის ულტიმატუმი მხოლოდ პოლიტიკური შანტაჟია. თუ ომი მაინც ფაქტი გახდება, საბჭოთა რუსეთს ძალა შესწევს ვერაგ მტრებზე ღირსეულ პასუხის გასაცემად.

ვფიქრობ, რომ ეს იქნება საბოლოო შეჯახება ბურჟუაზიისა და ახალ ამომავალ კლასს შორის, რომელიც ბურჟუაზიას უეჭველია საბოლოოდ დაამხობს და პროლეტარიატს, მშრომელ მასსებს გამარჯვებას მიანიჭებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 72

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლუციონური კომიტეტისა.

მცხოვრებთათვის სამკურნალო წამლების უფასოდ მიცემის თაობაზე საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის მაისის 15-ს ათარიღით და 18 №-რით გამოცემულ დადგენილების განმარტების შესახებ.

ზემოაღნიშნული დადგენილების (№ 18) განსამარტებლად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. აფთიაქიდან უფასოთ წამალი მიეცემათ-საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში პროფესიონალურ კავშირთა წევრებს, ესე იგი საბჭოთა ხელისუფლების ყოველ მოსამსახურეს, მისი ოჯახის წევრებსა და ყველა იმ პირთ, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის ხარჯზე; აგრეთვე იმას, ვინც წარადგენს ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებიდან სიღარიბის მოწმობას.

2. პირველ მუხლში მოხსენებულმა ყოველმა პირმა უნდა წარადგინოს აფთიაქში ექიმის რეცეპტი, სადაც უნდა იყოს აღნიშნული ავადმყოფის თანამდებობა, მისი მანდატის ნომერი და რომელსაც უნდა ჰქონდეს დასმული ბეჭედი იმ დაწესებულებისა სადაც ავადმყოფი მსახურობს, ან პროფესიონალურ კავშირისა, ან სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა, ან და ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტისა.

3. დანარჩენ მოქალაქეებს წამალი აფთიაქიდან მიეცემათ მხოლოდ საფასურით.

4. პირველ მუხლში აღნიშნულ ყოველ პირს შეუძლიან მიიღოს აგრეთვე სამკურნალო დახმარება საბჭოთა საავადმყოფოში იმ წესით და პირობით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მეორე მუხლში.

ხოლო დანარჩენ მოქალაქეებს ასეთივე დახმარება შეუძლიანთ მიიღონ საფასურით.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი გრ. კუპრაძე

რევოლუციონური კომიტ. მდივანი ალ. ხალათიძე

1921 წ. სექტემბრის 20.

ტფილისი სასახლე.

დადგენილება № 73

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის დეკრეტი № 41 მუხლი 24 ს შეცვლის შესახებ,

წითელი არმიელებისა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული დეკრეტი № 41 მუხლი 24 ს შესაცვლელად საქართველოს სოციალური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ამ დეკრეტის სისრულეში მოყვანა ევალება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს; სურსათით უზრუნველყოფა სასურსათო სახალხო კომისარიატს, ხოლო სასოფლო სამეურნეო დახმარების აღმოჩენა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე

რევოლუციონური კომიტ. მდივანი ალ. ხალათიძე

1921 წ. სექტემბრის 20

ტფილისი სასახლე.

ბრძანება № 9

ქალაქ ტფილისის რევკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგისა.

25 სექტემბერი 1921 წ. ქ. ტფილისი.

შემჩნეულია, რომ ამ ბოლო ხანებში ქალაქის ყასბები აწარმოებენ ავადმყოფ საქონლის ფარულად დაკვლას.

აღნიშნული მოვლენა ავრცელებს რა სხვა და სხვა გადამდებ ავადმყოფობას, ამავე დროს სრულიად ანადგურებს ქალაქის კომუნალური წარმოების საკლაოს მოქმედებას, სადაც საკლავ საქონლის რიცხვი დღითიდღე კლებულობს, რის გამო იქ არსებული საპნის, ძეხვის და სხ. ქარხნები მასალის უქონლობის გამო იძულებულნი სურსათის საკითხის ასეთი კრიტიკულ მდგომარეობის დროს შესწყვიტონ მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გამო ვადგენ:

1) ყველა საყასბოები, სადაც კი აღმოჩნდება ფარულად დაკლული საქონელი დაუყონებლივ დაიბეჭდოს.

2) იქ აღმოჩენილი ხორცი უკლებლივ გადიგზავნოს ქალაქის მიკროსკოპულ სადგურებში (გრაფის ქ. № 14 და ვოგზალის ქ.)

3) ბოროტ-მოქმედების ადგილებზე შედგენილ იქნას სათანადო ოქმი აუცილებლად უბნის [illegible] ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით და დამნაშავესთან ერთად წარმომიდგინოს მე სათანადო წესით პასუხისგებაში მისაცემად.

ბრძანება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გაზეთ „კომუნისტ“-ში გამოქვეყნებისა და მისი სწორ-უცვლელად ცხოვრებაში გატარება ევალება ქალაქის მუშა-გლეხთა მილიციის უფროსს თავისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ.

დრ. ჯანმრთელობის განყოფილების გამგე გ. ახვლედიანი.

საერთო-საადმინისტრაციო ქვეგანყოფილების უფროსი პ. ნემსაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

მეუღლე თამარი ადამიძე, და სოფიო, სიძე გიორგი გაგნიძეები, სიდედრი ელისაბედი, ცოლის დები: მარიამ, ეკატერინე და დარია კლაცმანები მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს და ნათესავთ, რომ ხუთშაბათს 29 სექტემბერს, დღის სამ საათზედ მოხდება დაკრძალვა პირველის ძვირფას მეუღლის, მეორის—ძმის და მესამეთა დაუვიწყარ სიძის

ლავრენტი გიორგის-ძე ადამიძის

გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან (კირკის ქ. 12) წმინდა ნინოს სასაფლაოზედ.

თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ

1. გამგეობა ამით აცხადებს, რომ ტფ. სახ. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებზე სწავლა დაიწყება 1 ლ ოქტომბერს.
2. გამოცდები მიიღება ყველა პროფესორებთან 30 სექტემბრამდე
3. უნივერსიტეტში შემოსვლისათვის თხოვნების მიღება შეწყვეტილ იქნება 24 სექტემბერს.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ რესპუბლიკის ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში „ქოლლოკვიუმები“ (გამეორებითი გამოცდები) დაიწყება ამა წლის პირველ ოქტომბრიდან, ხოლო სწავლა ამავე ოქტომბრის 10 დან.

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბ. ორგანიზაციის მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აუწყებს კომიჩეიკების ყველა მდივნებს, რომ უკანასკნელი ვადა სექტემბრის პირველ და მეორე ნახევრის საერთო უწყებების წარდგენისა თავდება 30 სექტემბერს.

— მე 4 რაიკომი აუწყებს ყველა წევრთ და კანდიდატებს მე 4 რაიონისას, რომ ოთხშაბათს 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე „[illegible]“-ის თეატრში შესდგება საერთო კრება ყველა წევრთა და კანდიდატებისა საქართველოს კომპარტიის მე 4 რაიონის.

დღის წესრიგი: მოხსენებანი თემებზე: 1. საქართველოს კომპარტიის განწმენდაზე და გადაშინჯვაზე. 2. ჩვენი ეკონომიურ პოლიტიკის ახალი კურსი 3. მიმდინარე საქმეები.